

მოსახლეობის ჩართულობისა და მოლოდინების კვლევა რაჭის გეგმარებითი  
ეროვნული პარკის ტერიტორიაზე

მარიამ გაფრინდაშვილი

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და  
საინჟინრო ფაკულტეტი*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ბუნებათსარგებლობა (Msc)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული მკვლევარი, ზურაბ ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“*

მარიამ გაფრინდაშვილი 06-06-2018

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	5
მადლობა .....	6
1. შესავალი.....	7
2. დაცული ტერიტორიების შესახებ .....	7
2.1 დაცული ტერიტორიები საქართველოში.....	8
3. საზოგადოების მონაწილეობა .....	10
4. რაჭის გეგმარებითი დაცული ტერიტორიები.....	12
5. საკვლევი თემა.....	14
5.1 კვლევის მეთოდოლოგია .....	15
6. კვლევის შედეგები .....	16
6.1 კოლხეთის ეროვნული პარკი.....	17
6.2 ალგეთის ეროვნული პარკი.....	18
6.3 თუშეთის ეროვნული პარკი.....	18
6.4 მაჭახელას ეროვნული პარკი.....	19
6.5 WWF-ის კვლევის შედეგები.....	20
6.6 ჩემი კვლევის შედეგები.....	24
7. დასკვნა და რეკომენდაციები.....	33
7.1 შედეგების განხილვა.....	33
7.2 რეკომენდაციები.....	34
8. ბიბლიოგრაფია .....	37
დანართი.1.....	40
დანართი.2.....	41

## ილუსტრაციები

რუკა1.საქართველოს დაცული ტერიტორიები	9
რუკა2. რაჭის გეგმარებითი ეროვნული პარკი	12
რუკა3 .ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ადგილები საქართველოში	13
რუკა4. ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორია რაჭაში	14
გრაფიკი1-შემოსავლის წყარო სოფელ ჭიორაში	20
გრაფიკი.2-ღები	21
გრაფიკი.3- შემოსავლის წყარო სოფელ ღებში	22
გრაფიკი.4-გლოლა	23
გრაფიკი.5-შემოსავლის წყარო სოფელ გლოლაში	23
გრაფიკი.6	24
გრაფიკი.7	24
გრაფიკი.8	25
გრაფიკი.9	25
გრაფიკი10	26
გრაფიკი.11	27
გრაფიკი.12	28
გრაფიკი.13	28
გრაფიკი14	29
გრაფიკი.15	30
გრაფიკი.16	30
გრაფიკი.17	31
გრაფიკი.18	32

## აბსტრაქტი

დაცული ტერიტორიების დაარსება ნებისმიერ ქვეყანაში არის პრიორიტეტი იმისა, რომ შენარჩუნდება ბიოლოგიური და კულტურული მრავალფეროვნება. თუმცა ხშირ შემთვევაში დაცული ტერიტორიის ძირითადი ფუნქციები არ სრულდება, რაც მისი არასწორი დაგეგმვარებით არის გამოწვეული. ერთ-ერთი მიზეზი არის საზოგადოების არასწორი ჩართულობა, განსაკუთრებით იმ ნაწილის, რომლებიც უშუალოდ დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონაში ცხოვრობენ და მოიხმარენ აქ არსებულ რესურსებს. კვლევის მიზანი იყო გამეგო რამდენად იყო ჩართული რაჭის გეგმარებითი ეროვნული პარკის დაარსებაში ადგილობრივი მოსახლეობა, იყვნენ თუ არა ისინი მენეჯმენტის გეგმის ნაწილი და რა მოლოდინი აქვთ მომავალში. მნიშვნელოვანია, დაცული ტერიტორიის დაგეგმარების პროცესში გათვალისწინონ მათი შეხედულებები, შემდგომი კონფლიქტებისა და კანონდარღვევების პრევენციისათვის.

კვლევამ აჩვენა რომ რაჭის ეროვნული პარკის დაარსების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებადაა ჩართული, მეტიც მათ შორის შეინიშნება გარემოსდაცვითი ცნობიერების ნაკლებობა. ინტერვიუმ აჩვენა, რომ მათ არ ჰქონდათ საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია. მიუხედავად ინფორმაციის ნაკლებობისა, უმრავლესობა მოხარული იქნება თუკი დაცული ტერიტორია დაარსდება მათ საცხოვრებელ გარემოსთან ახლოს და გამოთქვამენ მზაობას ჩაერთონ მის მართვაში.

## მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისა და ინფორმაციის მოწოდებისთვის:

ზაზა გამცემლიძეს- რაჭის ეროვნული პარკის დაარსებასთან დაკავშირებული პროექტის კოორდინატორი, ბუნების მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი (WWF Caucasus)

გიორგი ცინცაძეს- ბუნების მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი (WWF Caucasus)

სალომე კობაიძეს- ალგეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი

სოფო რაინაულს-თუშეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი

ხათუნა ქაცარავა- კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის უფროსი

ნანა ბაუჟაძე- მაჭახელას ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი

## აბრევიატურები

IUCN- International Union for Conservation of Nature

WWF-World Wide Fund for Nature

CBD- Convention of Biological Diversity